# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

## ბრძანება N 2-42

21/01/2020 ქ. თბილისი

**ფ/პ პაატა გირმისაშვილის თევზსაშენი ტბორის ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის II დანართის მე-9 პუნქტის 9.9 ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს ყვარლის მუნიციპალიტეტში, სოფ. შილდას მიმდებარე ტერიტორიაზე ფ/პ პაატა გირმისაშვილის თევზსაშენი ტბორის ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნა N 1 (06.01.2020წ.);
2. ფ/პ პაატა გირმისაშვილმა სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს სკოპინგის დასკვნის N 1 (06.01.2020წ.) შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ფ/პ პაატა გირმისაშვილს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს ფ/პ პაატა გირმისაშვილის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ყვარლის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი